



## საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

### პლატფორმის გაფართოებული შეხვედრა

თარიღი: 18 ივლისი, 2022 წელი

დრო: 20:00 - 22:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ლაშა ტულუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
4. კონსტანტინე ჟენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
5. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“
6. ნუგზარ კობრიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
7. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
8. ნინო ხუბუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
9. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
10. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
11. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
12. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
13. ირინა სვანიძე - მწვანე ალტერნატივა
14. ნანი მეფარიშვილი - მდგრადი ენერჯია და გარემო
15. ნატო ბაჩიაშვილი - გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
16. ევატერინე მესხრიკიძე - ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი
17. ალექო ცქიტიშვილი - ადამიანის უფლებათა ცენტრი
18. ლადო მკერვალიშვილი - უფლებები საქართველო

19. გიორგი აბულაშვილი - ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
20. თეა გალდავა - კავკასიური სახლი
21. მერაბ გამსახურდია - ასოციაცია გადავარჩინოთ მომავალი თაობა
22. ნანული რამიშვილი - პ/კ განათლება და სამყარო
23. იულია ხარაშვილი - ქალთა ასოციაცია თანხმობა
24. მაკა ჯახუა - ასოციაცია მწვანე ტალღა
25. მერი გელაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
26. ანა აბულაძე - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ნშობელთა ასოციაცია „დეა“
27. ლია ნადარაია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
28. თორნიკე შურდულაია - თომას ჯეფერსონის ცენტრი
29. ნაირა ბეპიევი - კავკასიური მოზაიკა
30. ია თიკანაძე - ფრიდრიხ ებერტის ფონდი საქართველოში
31. ქეთევან ჩაჩავა - განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
32. ნინო წულაია - საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭო
33. გიორგი ჭილაძე - საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ანალიტიკის ასოციაცია
34. ქრისტინე კილანავა - ასოციაცია „იმედი,, დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის
35. ცირა ჭანტურია - ციხის საერთაშორისო რეფორმა
36. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
37. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
38. ნატო ხობიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის
39. რეზო გეთიაშვილი - კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი
40. ვახტანგ მასიაია - საქართველოს გეოსტრატეგიული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტი
41. ხათუნა სიჭინავა - ექსპერტთა კავშირი "მდგრადი ენერჯია და გარემო"
42. იზოლდა მაჭუტაძე - ვეური ბუნების დაცვის საზოგადოება "ჭაობი"
43. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
44. ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაცია
45. ირაკლი გიორბელიძე - მსოფლიო ხედვა
46. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
47. ნუკრი მილორავა - საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“
48. მანანა დევიძე - ფონდი კავკასიის ეკოლოგია
49. ლია თოდუა - ასოციაცია "მერკური"
50. გიორგი ძამუკაშვილი - ადგილის დედა
51. მარინე ზუხბაია - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
52. მერი გვაძაბია - მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია
53. ნატო არღვლიანი -ქართველების, აფხაზებისა და ოსების შერიგების სამოქალაქო პლატფორმა

## განსახილველი საკითხები:

1. ევროკომისიის მიერ შემუშავებული 12 პუნქტიანი რეკომენდაცია და პლატფორმის აქტივობები.
2. ეთიკის კომისიის მუშაობის აღსადგენად, ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დამტკიცება.

18 ივლისს გაიმართა საქართველოს ეროვნული პლატფორმის სამუშაო ჯგუფების გაფართოებული შეხვედრა, რომელიც საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით იქნა ორგანიზებული. კოალიციის გაფართოებული შეხვედრა გახსნა პლატფორმის თავმჯდომარე, ნინო ჩხოზაძემ. მან მოკლედ ისაუბრა შეხვედრის მიზანზე და ასევე მიაწოდა ორგანიზაციებს ინფორმაცია, საბჭოს იმ საქმიანობაზე, რომელიც უკავშირდება 12 პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების პროცესში საქართველოს ეროვნული პლატფორმის როლს და ამ კუთხით გამართულ სამუშაო შეხვედრებს.

ეროვნულმა კოორდინატორმა, ნათია კუპრაშვილმა, ისაუბრა ფორუმის დონეზე ადვოკატირების პროცესებზე. მისი განცხადებით მნიშვნელოვანია, რომ რეკომენდაციებთან დაკავშირებით გვექონდეს შეხვედრები ევროკავშირში შესაბამის კომიტეტებთან, რათა უფრო რეალური სურათი იქნას დასახული ამ რეკომენდაციების შესრულების პროცესში. აღნიშნული ინიციატივა მიწოდებულია ფორუმის სამდივნოსთან და დიდი იმედი გვაქვს რომ ეს შეხვედრები აქტიურად გაიმართება. ძალიან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფორუმის სამდივნო, სრულად არის ინფორმირებული ეროვნულ დონეზე, საქართველოს ეროვნული პლატფორმის აქტივობებზე, რომელიც უკვე განხორციელდა ამ 12 პუნქტთან მიმართებით.

მესამე ჯგუფის კოორდინატორმა და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნუგზარ კობხრიძემ, ისაუბრა მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე დასმულ ინიციატივაზე, რომელიც გულისხმობს კამპანიის წარმოებას. იმისათვის რომ პროცესი იყოს უფრო მოქნილი და ინკლუზიური, პლატფორმის ბაზაზე დაფუძნდება „კამპანია - 12 ნაბიჯი ევროინტეგრაციისკენ“. კამპანია მიზნად ისახავს იყოს აქტიურად ჩართული რეკომენდაციების შესრულების პროცესში გაწერილ აქტივობებში. უმთავრესი მიზანია ჩავრთოთ მაქსიმალურად ბევრი რეგიონალური ორგანიზაცია. კამპანიის ეფექტური ფუნქციონირებისთვის შეიქმნება საორგანიზაციო ჯგუფი. საორგანიზაციო ჯგუფში ჩართული იქნება ყველა რეგიონიდან ერთი ორგანიზაცია, ასევე ჩართულები იქნებიან 12 პუნქტის ირგვლივ მომუშავე პროფესიული ორგანიზაციები. კამპანიას შეიძლება შემოუერთდეს როგორც პლატფორმის წევრები, ასევე ის ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან გაწევრიანებული პლატფორმაში. მეტი ინფორმაციისთვის და ინიციატივებისთვის საკონტაქტო პირი იქნება ნუგზარ კობხრიძე - საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა და საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ლაშა ტულუშმა, ისაუბრა პარლამენტის

თავმჯდომარესთან გამართულ შეხვედრაზე. პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მონაწილეობა. ჩვენ ყველამ უნდა გადავდგათ პატარა ნაბიჯი იმისთვის რომ ქვეყანამ გადადგას დიდი ნაბიჯი რაც გულისხმობს ჩვენს ევროპულ ინტეგრაციას. ვაცნობიერებთ რომ ეს პროცესი არ არის ადვილი. ჩვენ გამოვდივართ ლოგიკიდან, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს უნდა ევროპული მომავალი, არსებობენ ჩვენი ევროპელი პარტნიორები, რომლებიც ხედავენ ჩვენს სამშობლოს ევროპის ნაწილად, და ეს სინერგია გვაძლევს შანსს, რომ დავძლიოთ ეს დაბრკოლებები და პოლარიზაცია.

პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართულ შეხვედრამდე, საკოორდინაციო საბჭომ იმსჯელა იმ საკითხებსა და საერთო მესიჯებზე, რომლითაც წარსდგებოდა პარლამენტის თავმჯდომარესთან. მმართველმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, პარლამენტის თავმჯდომარესთვის წარედგინა კონკრეტული ხედვები. საუბარი შეეხო 4 ძირითად მიმართულებას, ესენია: შარლ მიშელის შეთანხმების იდეის ირგვლივ კვლავ გაერთიანება, ასევე რიგგარეშე სესია, რაც იქნება მმართველი პარტიის მიერ გადადგმული ნაბიჯი რომელიც ხელს შეუწყობს პროცესის მიმართ ნდობის აღდგენას, რეალურად ინკლუზიური პროცესის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ყველასთან საუბარს და დიალოგს, მნიშვნელოვანია განხილული იყოს სტრატეგიული ხედვები და გაიმართოს სტრატეგიული დიალოგები. უზრუნველყოფილი იყოს ყველა მხარის ჩართულობა და მონაწილეობა პროცესში. მან ასევე ისაუბრა ხვალ დაგეგმილ შეხვედრაზე, რომელიც გაფართოებული ფორმატით გაიმართება პარლამენტის თავმჯდომარესთან.

მეორე ჯგუფის კოორდინატორმა, კონსტანტინე ჟღენტმა ისაუბრა კიდევ ერთ ინიციატივაზე, რომელიც განიხილა საბჭომ. ევროკავშირის მხრიდან, ერთ-ერთი მოთხოვნაა რომ მოხდეს საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აქედან გამომდინარე ჩვენი ინიციატივაა, რომ შევთავაზოთ აღმასრულებელ ხელისუფლებას შეიქმნას ფორმატი, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვიხილოთ კონკრეტული საკითხები შესაბამის სამინისტროებთან. მნიშვნელოვანია ამ დიალოგის წარმოება აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. ეს ერთგვარად იქნება მონიტორინგის ფუნქციის მატარებელიც, რადგან ჩვენ მუდმივი კომუნიკაცია გვექნება ევროკავშირის შესაბამის წარმომადგენლებთან.

საკოორდინაციო საბჭოს წევრების მხრიდან, მოკლე ანგარიშების წარდგენის შემდეგ, შეხვედრა გაგრძელდა დისკუსიისა და ფართო დიალოგის ფორმატში. მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შეაფასეს პლატფორმის მიერ გაწეული საქმიანობა და ის ინიციატივები, რომელიც კოალიციის მმართველი კომიტეტის მხრიდან იქნა შეთავაზებული, ასევე გააჟღერეს თავიანთი ხედვები და ინიციატივები, კერძოდ:

- გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით. გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭომ განიხილა ის წინადადებები, რომელსაც ამზადებს პარლამენტი. ამ პროცესში ჩართულია გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფის წევრი. უახლოეს მომავლში იქნება სამთავრობო შემოთავაზება თუ რას აპირებს მთავრობა გენდერულ საკითხთან მიმართებით და ამ საკითხის განხილვა უნდა მოხდეს როგორც გენდერული თანასწორობის ქვეჯგუფში, ისე მთლიან

პლატფორმაში, რათა შევიმუშაოთ ჩვენი ხედვა შემოთავაზებულ გეგმაზე. მნიშვნელოვანია რომ ამ განხილვებში მოვიწვიოთ ის წევრებიც, ვინც არ არიან პლატფორმის წევრები.

- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტებში გასვლა და იქ მუშაობის დაწყება, რადგან პოლარიზებული გარემო არის შექმნილი და რთულია მუშაობა.
- ასევე მნიშვნელოვანია საჯარო დისკუსიების გამართვა, რადგან ანტი ევროპული კამპანიები ძალიან მოქმედებს მოსახლეობაზე. ჩვენ ამას უნდა დავუპირისპიროთ მყარი და არგუმენტირებული საჯარო მსჯელობები იმაზე, თუ რას მოიტანს ევროკავშირის წევრობა. ეს არის უმნიშვნელოვანესი რომ მოხდეს საზოგადოების აქტიური ინფორმირება.
- მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიულ დიალოგში აქტიურად იყვნენ ჩართულები მთავრობის წარმომადგენლებიც.
- უნდა იყოს ცხადად მიწოდებული საზოგადოებისთვის, რომ ევროინტეგრაცია იქნება კონფლიქტების დარეგულირების დასაწყისი.
- მნიშვნელოვანია მოვითხოვოთ რომ ქვეყნებოდეს და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყოს მთავრობის გადაწყვეტილების პროცესები.

განხილვის დროს, წევრი ორგანიზაციის წარმომადგენლის მხრიდან დაფიქსირდა მისი პირადი შეხედულება, რომ იგი არ იზიარებს 12 რეკომენდაციას და მიიჩნევს რომ ევროპული მომავალი არ არის ის ღირებულება, რომელიც მისთვის ფუნდამენტურია. აღნიშნულს, დამსწრეთა მიერ მოყვა აღშფოთება და მოთხოვნილ იქნა, რომ შეხვედრის ჩანაწერი გადაიგზავნოს ეთიკის კომისიაში, რომელმაც უნდა იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება ამ ორგანიზაციისთვის წევრობის შეჩერებაზე, რადგან მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები არ მოდის თანხვედრაში პლატფორმის წესდებასთან და საერთო სულისკვეთებასთან.

მეორე საკითხად, თავმჯდომარემ ისაუბრა ეთიკის კომისიის ფუნქციონირებაზე. სამწუხაროდ, ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, მანანა ბიწამე-მიქელაზე გარდაიცვალა რამდენიმე თვის წინ. შესაბამისად, კომისიას სჭირდება პირი, რომელიც მის მოვალეობას შეითავსებს მომდევნო საერთო კრებამდე, მანამ სანამ კომისიის ახალი შემადგენლობა იქნება არჩეული. თენგიზ სვანიძის კანდიდატურა, დასახელდა პლატფორმის თავმჯდომარის მხრიდან ეთიკის კომისიის თავმჯდომარის დროებითი მოვალეობის შემსრულებელ პირად. მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა დამსწრეთა აბსოლიტურმა უმრავლესობამ.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე